ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
სამართლის სკოლა

სამაგისტრო პროგრამა

პროგრამის დასახელება	სისხლის სამართლი
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია	სისხლის სამართლის მაგისტრი (Master of Criminal Law)
პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა (სემესტრი, კრედიტების რაოდენობა)	**120 ECTS კრედიტი** **4 სემესტრი**
სწავლების ენა	ქართული, ინგლისური ენის კომპონენტით
პროგრამის შემუშავების თარიღი და განახლების საკითხი	პროგრამა შემუშავებულია წ., 2017 წელს განახლებადია ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით. განახლებულაი 2024 წელს.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (მოთხოვნები)
პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს სამართლის ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი. სამაგისტრო პროგრამაზე სწავლების უფლებით სარგებლობენ პირები, რომლებსაც ჩაბარებული აქვთ შესაბამისი ტიპის საერთო სამაგისტრო გამოცდა და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა (წერითი გამოცდა კაზუსი) სპეციალიზაციაში - სისხლის სამართალი (60 %); ინგლისურის გამოცდა B2 დონე (40 %). შიდასაუნივერისტეტო გამოცდის შესახებ შესაბამისი ინფორმაცია დაიდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე www.iliauni.edu.ge .
პროგრამის მიზანი
სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამის მიზანია, მოამზადოს კონკურენტუნარიანი და კვალიფიციური იურისტი, რომელსაც ექნება სისხლის სამართლის (მათ შორის სასამართლო პრაქტიკის, ევროპული და საერთაშორისო სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის ინსტიტუტების შესახებ) სისტემური ცოდნა და ასევე პრაქტიკული საქმიანობისათვის საჭირო უნარ-ჩვევები და რომელიც შეძლებს სისხლის სამართლის სფეროში არსებული სამართლებრივი პრობლემების იდენტიფიცირებას, შესწავლა-გაანალიზებას და მათ გადაწყვეტას, რაც მას გამოადგება ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობაში როგორც საჯარო (სასამართლო, პროკურატურა, გამოძიების ორგანოები), ისე კერძო (ადვოკატურა) სექტორში.
პროგრამის აღწერა

სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა მოიცავს სიხლის სამართლის სავალდებულო და არჩევით კურსებს, მათ შორის პრაქტიკული და კვლევით უნარჩვევების გამომუშავებისათვის აუცილებელ კურსებს. პროგრამა 12 კრედიტის ფარგლებში სტუდენტებს თავაზობს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ნებისმიერი სამაგისტრო პროგრამიდან კურსების არჩევის შესაძებლობას.

სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა ორიენტირებულია, დაეხმაროს სტუდენტს სისხლის სამართლის პრაქტიკაში არსებული პრობლემების სიღრმისეულ შესწავლაში. ამ მიზნით სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა სტუდენტს სთავაზობს საერთო სასამართლოებისა და, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის შესწავლის კურსს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის დასაბუთების კურსი, რაც სტუდენტს მისცემს საშუალებას, გაეცნოს განაჩენის „ფორმებს“, მისი დასაბუთებისა და სტილისტიკური გამართულობისათვის აუცილებელ კომპონენტებს. სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამის მიზნის მიღწევისათვის ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება საერთაშორისო სისხლის სამართლის, ევროპული სისხლის სამართლისა და შედარებითი სისხლის სამართლის პროცესის კურსებს, რაც სტუდენტს მისცემს საშუალებას, გაეცნოს როგორც სისხლის სამართლის სფეროში ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო ინსტრუმენტებს (მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს), ისე ევროკავშირისა და სხვა ქვეყნების სისხლის სამართლის სისტემებს.

პროგრამა მოიცავს ასევე სისხლის სამართლის საქმეზე აღკვეთის ღონისძიების გამოყენების დასაბუთების კურსს, რითაც თავისუფლების პრეზუმფციის კონტექსტში სტუდენტი გაეცნობა ადამიანის უფლებების შემზღუდველი იძულების ღონისძიებების გამოყენების პრაქტიკას.
პროგრამა ასევე მოიცავს თანამედროვე გამოწვევების გათვალისწინებით ტერორიზმის სამართლებრივ-პოლიტიკურ ასპექტებთან დაკავშირებით კურსს და აგრეთვე კურსს სასჯელის მიზნებისა და მის დანიშვნასთან დაკავშირებით არსებულ პრაქტიკულ პრობლემებთან მიმართებაში. სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა ამავდროულად ორიენტირებულია იმაზე, რომ დაეხმაროს სტუდენტს პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში. შესაბამისად, პროგრამა სტუდენტს ასევე სთავაზობს სისხლის სამართლის პროცესის მხარეების პრაქტიკული საქმიანობის შესახებ კურსებს. პროგრამა იძლევა შესაძლებლობას სტუდენტმა შეისწავლოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისა და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს პრობლემური და შედარებით-სამართლებრივი ასპექტები.

პროგრამის სწავლის შედეგები

- სისხლის სამართლის სფეროში აღწერს ეროვნული და უცხოური სამართლის ძირითად ტენდენციებს, ადგენს საერთაშორისო და ეროვნული სამართლის ურთიერთკავშირსა და ევროკავშირის სამართლის გავლენას შიდა სამართალზე, აანალიზებს სამოსამართლო ეთიკის სტანარტებს.
- სისხლის სამართლის აქტუალურ საკითხებზე კვლევის უახლესი მიდგომების გამოყენებით ჩატარებულ კვლევას უზირებს პროფესიულ საზოგადოებას.
- აფასებს რთულ სამართლებრივ პრობლემებს და აყალიბებს მათი გადაწყვეტის ახალ, ორიგინალური გზებს;
- წარმართავს იურიდიულ საქმიანობას დარგის უახლესი მიდგომებისა და სასამართლო პრაქტიკის განალიზების გზით.
- ავლენს დემოკრატიული ღირებულებებისადმი პატივისცემას და მონაწილეობს ადამიანის უფლებების დაცვაზე ორიენტირებული პრინციპების განვითარებაში.

სისხლის სამართლის მაგისტრის დასაქმების სფეროები

- შესაბამისი პროფილის საერთაშორისო ორგანიზაციები;

- შესაბამისი პროფილის საჯარო სექტორი, მათ შორის პროკურატურა, სასამართლო, შინაგამ საქმეთა სამინისტრო;
- სადოქტორო საფეხურზე სწავლის გაგრძელება;
- ადამიანის უფლებების სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები;
- საადვოკატო საქმიანობა;
- სისხლის სამართლის საკითხებში პრაქტიკოსი ექსპერტი.

სწავლა-სწავლების მეთოდი:

სასწავლო პროგრამაში გამოიყენება სწავლების შემდეგი მეთოდები:

- ინტერაქციული ლექციები და სემინარები;
- დისკუსია/დებატები
- ჯგუფური მუშაობა
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)
- თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება
- შემთხვევის ანალიზი (Case study)
- კაზუსის ამოხსნა
- გონებრივი იერიში (Brain storming)
- როლური და სიტუაციური თამაშები (იმიტირებული პროცესი)
- დემონსტრირების მეთოდი
- ანალიზი და სინთეზი;
- პრაქტიკული მუშაობის მეთოდი/პროექტი;
- სუპერვიზია და რეფლექსია.

პერსონალი (მოწვეული ლექტორი/მკვლევარი/აკადემიურიუ პერსონალი) შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე.

შენიშვნა: პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდები მითითებულია შესაბამის სილაბუსებში.

შეფასების წესი

სამაგისტრო პროგრამაში სტუდენტების შეფასება ხორციელდება ასქულიანი სისტემით.

(A) ფრიადი – 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
(C) კარგი – 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – 51-60 ქულა.
(FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

სამაგისტრო ნაშრომში FX შეფასების მიღებისას მაგისტრანტი უფლებამოსილია გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში.

სამაგისტრო ნაშრომში F შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე სამაგისტრო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

შეფასების სისტემა, მათ შორის შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები დეტალურად განსაზღვრულია შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის კონკრეტული კომპონენტით.

სწავლისთვის აუცილებელი დამხმარე რესურსები/პირობები:

- სასწავლო პროცესის მართვის სისტემა „არგუსი“;
- პროგრამა „Turnitin“ და “Moodle“;
- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა (მათ შორის ელექტრო ნული ბაზები);
- უნივერსიტეტის კომპიუტერული ცენტრები;
- სალექციო აუდიტორიები;
- სამართლის სკოლის კლინიკები.
- სამართლის სკოლის კვლევითი ცენტრები;

პროგრამის სტრუქტურა

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტი განაწილებულია შემდეგი სახით:
სამართლის ბლოკი - 108 კრედიტი
54 კრედიტი - სისხლის სამართლის სპეციალობის (დარგობრივი) სავალდებულო კურსები, მათ შორის ***18 კრედითი*** - პრაქტიკული კომპონენტი, ***6 კრედიტი*** - აკადემიური წერა იურისტებისთვის

24 კრედიტი - სისხლის სამართლის სპეციალობის (დარგობრივი) არჩევითი კურსები

30 კრედიტი - სამაგისტრო ნაშრომი

12 კრედიტი - თავისუფალი კომპონენტი (სტუდენტმა შეიძლება აირჩიოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამებით შემოთავაზებული ნებისმიერი კურსი)

პროგრამის დეტალური სტრუქტურული აგებულება იხ. დანართი #1
პროგრამის კომპეტენციათა რუკა იხ. დანართი #2